



თბილისის სააპელაციო სასამართლო

ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გავრცელების შესახებ

საქმე №28/2947-10

“06” მაისი, 2011წ.

თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატამ

შემდეგი შემადგენლობით:

თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

მოსამართლეები:

ქეთევან კუჭავა

თინათინ ეცადაშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გავრცელების საკითხი.

პალატამ ბამორკვია:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.03.2011წ. გადაწყვეტილებით მიხეილ ჭუმბურიძის საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა შპს „არბიტრაჟის“ 15.09.2008 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №3/93-2008.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარეებისათვის ხათუნა დარჩიაშვილისათვის და შპს „არბიტრაჟისათვის“ გზავნილი ჩაბარება ვერ ხერხდება, პალატა თვლის, რომ მათ საჯაროდ შეტყობინებით უნდა ეცნობოთ სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე გადაწყვეტილების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 78-ე, 284-ე და 414-ე მუხლებით

დ ა ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „არბიტრაჟს“ და ხათუნა დარჩიაშვილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.03.2011წ. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ საჯაროდ გავრცელების საშუალებით.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.03.2011წ. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.
3. განემარტოთ მოწინააღმდეგე მხარეებს, რომ გადაწყვეტილება მათთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის წარდგენა არ დაიშვება.

თავმჯდომარე:

თ. ზამბახიძე

მოსამართლეები :

ქ. კუჭავა

თ. ეცადაშვილი



**თბილისის სააპელაციო სასამართლო
გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

საქმე №28/2947-10
“29” მარტი, 2011წ.

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის

თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები:
ქეთევან კუჭავა
ნატალია ნაზლაიძე

სხდომის მდივანი: ლელა მეტრეველი

საჩივრის ავტორი (მოსარჩელე) – მიხეილ ჭუმბურიძე
წარმომადგენელი – ცირა შუბითიძე

მოწინააღმდეგე მხარე – ხათუნა დარჩიაშვილი, შპს „არბიტრაჟი“

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

კ ა ლ ა ტ ა მ ბ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 09.08.2010წ. განჩინებით მიხეილ ჭუმბურიძის სასარჩელო განცხადება მოპასუხეების შპს „არბიტრაჟი“-ს, ხათუნა დარჩიაშვილის, გიორგი კენჭაძის და ირაკლი ოდიშარიას მიმართ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადმოეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გათვალისწინებით იმისა, რომ ამ ეტაპზე მიხეილ ჭუმბურიძის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისა და საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ცნობა, აღნიშნული საქმე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356^{13.1} მუხლის “ზ” ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს განსახილველია (ტ.1, ს.ფ.176-179).

29.03.2011წ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გამართულ სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ცირა შუბითიძემ დააზუსტა მოთხოვნა და მოწინააღმდეგე მხარე (ტ. II, ს. ფ. 95-98).

ამდენად, სააპელაციო პალატის განხილვის საგანია მიხეილ ჭუმბურიძის (საარბიტრაჟო მოპასუხის) საჩივარი შპს „არბიტრაჟის“ 15.09.2008წ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით და საჩივრის მოწინააღმდეგე მხარეები არიან – ხათუნა დარჩიაშვილი (საარბიტრაჟო მოსარჩელე) და შპს „არბიტრაჟი“ (სადავოდ გამხდარი გადაწყვეტილების გამომტანი არბიტრაჟი).

სააპელაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის და ახსნა-განმარტების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატას მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია ამჟამად მოქმედი „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე (ანუ 01.01.2010წ.-მდე), წარმოდგენილი საჩივარი განხილულ უნდა იქნეს ამ კანონის შესაბამისად.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის განხილვა წარმოადგენს საპროცესო-სამართლებრივ საკითხს, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით დადენილი სამოქალაქო საპროცესო ნორმების მოქმედების პრინციპი. აღნიშნული ნორმის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. ამდენად, კანონმდებელი განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედებას დროში, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სამოქალაქო საპროცესო კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ახალი კანონი, დამოუკიდებლად იმისა, საქმის განხილვა დაიწყო თუ არა ძველი საპროცესო კანონმდებლობის მოქმედების პირობებში. ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც ახალი კანონმდებლობის ამოქმედების პირობებში უნდა განხორციელდეს, შესრულდება არა ძველი, არამედ ახალი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივრის შეტანის კონკრეტულ ვადას არ ადგენდა, ამასთან, 2010 წლის 01 იანვრიდან ამოქმედებული „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი საჩივრის შეტანის 90 დღიან ვადას აწესებს. პალატა თვლის, რომ

წარმოდგენილი საჩივარი ვადის დაცვით წარდგენილად უნდა მივიჩნიოთ, რამეთუ საჩივარი (სარჩელი) სასამართლოს წარედგინა ჯერ კიდევ ახალი კანონის ამოქმედებამდე, კერძოდ, 06.08.2009წ. (ტ.1, ს.ფ.1).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹² მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹³-ე მუხლის პირველი ნაწილის “ზ” ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების შესახებ საქმეებს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²⁴ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძველით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი ადგენს: 1.

სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიმართავს სარჩელით სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ:

ა.ა) საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე ქმედუუნარო იყო;

ა.ბ) იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა მიუთითეს საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია;

ა.გ) მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში;

ა.დ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მთლიანად ან მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს;

ა.ე) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – ამ კანონის მოთხოვნებს;

ბ) სასამართლო დაადგენს, რომ:

ბ.ა) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

ბ.ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

დადგენილია, რომ შპს „არბიტრაჟის“ 15.09.2008წ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით:

1. დაკმაყოფილდა პრეტენდენტ ხათუნა დარჩიაშვილის საარბიტრაჟო პრეტენზია სრულად;
2. დაეკისრა მოპასუხე მიხეილ ჭუმბურიძეს პრეტენდენტი ხათუნა დარჩიაშვილის სასარგებლოდ – 23 610 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირითადი თანხაა – 13 780 აშშ დოლარი, - 2 480 აშშ დოლარი დარიცხული პროცენტი და – 7 350 აშშ დოლარი საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
3. დაეკისრა მოპასუხე მიხეილ ჭუმბურიძეს პრეტენდენტი ხათუნა დარჩიაშვილის სასარგებლოდ საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 660 ლარის გადახდა.
4. დაეკისრა მოპასუხე მიხეილ ჭუმბურიძეს პირგასამტეხლოს გადახდა ხათუნა დარჩიაშვილის სასარგებლოდ დღეში – 49 აშშ დოლარის ოდენობით 2008 წლის 16 სექტემბრიდან არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებამდე.
5. მოპასუხე მიხეილ ჭუმბურიძეზე დაკისრებული თანხების ამოღების მიზნით დადგინდა იპოთეკით დატვირთული მიხეილ ჭუმბურიძის უძრავი ქონების, მდებარე, გარდაბნის რ-ნი, სოფელი ფონიჭალაში, სარეგისტრაციო ზონა გარდაბანი; კოდი 81; სექტორი ფონიჭალა; კოდი 05; კვარტალი №12, ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, წინა №810500332, 1001,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი №255, მიწის სარეგისტრაციო ნომერი №810512255; 1026,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი №252, მიწის სარეგისტრაციო ნომერი №810512252; 1000,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი №256, მიწის სარეგისტრაციო ნომერი №810512256; 1000,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი №253 მიწის სარეგისტრაციო ნომერი №810512253; 1000,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი №249, მიწის სარეგისტრაციო ნომერი №810512249; 1480,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი №258, მიწის სარეგისტრაციო ნომერი №810512258; 1000,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი №257, მიწის სარეგისტრაციო ნომერი №810512257; 1000,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი №254, მიწის სარეგისტრაციო ნომერი №810512254 იძულებითი რეალიზაცია (ტ.1, ს.ფ.13-15).

მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს, 06.03.2008წ. ირაკლი ოდიშარიას, ხათუნა დარჩიაშვილს და გიორგი კენჭაძეს, როგორც მიხეილ ჭუმბურიძის რწმუნებულს შორის გაფორმებულ №1-862, №1-863, №1-864, №1-865, №1-866, №1-867, №1-868 და №1-869 სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების მე-6 პუნქტში განმტკიცებულ საარბიტრაჟო დათქმას (უფრო კონკრეტულად, სასამართლო ინტერესი ამ შემთხვევაში შეეხება ხათუნა დარჩიაშვილსა (გამსესხებელი) და მიხეილ ჭუმბურიძეს (მსესხებელი) შორის შეთანხმებას, რამეთუ მეორე გამსესხებელი – ირაკლი ოდიშარია არ წარმოადგენს

მოსარჩელეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, რომლის გაუქმების მოთხოვნითაც არის აღძრული საჩივარი), რომლის თანახმადაც, მხარეთა განცხადებით ხელშეკრულებიდან მომდინარე ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული ამ ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის, ბინიდან გამოსახლების ან ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს კერძო არბიტრაჟის მიერ, რომელსაც ირჩევს მოსარჩელე მხარე. დავა უნდა განიხილოს ერთი არბიტრისაგან შემდგარმა არბიტრაჟმა, რომელსაც დანიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (ტ.1, ს.ფ.26-42).

პალატა განმარტავს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს როგორც დამოუკიდებლად, ისე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობად, თუმცა თავისი იურიდიული ბუნებით განსხვავდება ტიპური ხელშეკრულების პირობისაგან. მხარეები ნამდვილი ნების გამოხატვის საფუძველზე ერთობლივად და თანასწორად წყვეტენ არსებულ თუ სამომავლოდ შესაძლო დავების გადაწყვეტის წესს. შესაბამისად, ორივე მხარეს თანაბარ პირობებში და თანაბარ საწყისებზე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის ზუსტად იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა.

“კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის (რომელიც მოქმედებდა ხელშეკრულებების გაფორმების მომენტში) პირველი მუხლით, პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს. ამჟამად მოქმედი საქართველოს კანონის “არბიტრაჟის შესახებ” 8.1 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

ამ ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეიცავდეს მხარეთა ნამდვილი ნების გამოხატვას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი განიხილოს დავა, ხოლო თუ განიხილა,

არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში, 06.03.2008წ. ხელშეკრულებების კონტრაქტები მე-ნ პუნქტით კონკრეტულ მუდმივმოქმედ ან კერძო არბიტრაჟზე არ შეთანხმებულან. ზემოაღნიშნული გარემოებები საკმარის საფუძველს წარმოადგენს დასკვნისათვის, რომ 06.03.2008წ. გაფორმებული ხელშეკრულებებით (დათქმებით) არსებულ ან წარმოშობილ დავებზე საარბიტრაჟო შეთანხმება არ მიღწეულა და ხათუნა დარჩიაშვილის სარჩელი (და შესაბამისი საქმე) არ შეიძლება ყოფილიყო საარბიტრაჟო განხილვის საგანი, რამეთუ მოქმედი კანონმდებლობა უშვებს არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვას მხოლოდ კონკრეტულ არბიტრაჟზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში; ამასთან, საარბიტრაჟო მოპასუხეს არ უცვნიას არბიტრაჟის კომპეტენცია, იგი საერთოდ არ თვლიდა თავს სადავო ხელშეკრულებების მხარედ (ტ.1, ს.ფ.98,99).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. რადგან სახეზეა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მითითებული საფუძველი, პალატა აღარ მსჯელობს საჩივრის საფუძველად მითითებულ სხვა გარემოებებზე.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ განამტკიცებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით აღძრულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს.

**სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მიხეილ ჭუმბურიძის საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს შპს “არბიტრაჟის” 15.09.2008 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №3/93-2008.
3. გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

თ. ზამბახიძე

მოსამართლეები:

ქ. კუჭავა

ნ. ნაზლაიძე